№ 45 1 მარტი, ხუთშაბათი 1866—1879 1 მარტი, ხუთშაბათი № 45

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ძირითადი ასოებით ახოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა**

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: **Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.**

**გაზეთის ფასი**

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა — — — 5 მან.
სამის თვისა — — — 3 „
ერთის თვისა — — — 1 „

**პირველი მარტიდამ წლის დამლევამდინ 6 მან.**

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 26 თებერვალს.** ასტრახანიდამ მოვიდა გრაფ ლორის-მელიქოვის ტელეგრამმა, 25 თებერვალს, რომ აქეთკენ ჟამით აღარავინ აღარ არის ავათაო.

**ადრიანოპოლი, 25 თებერვალს.** „გოლოსის“ დეპეშა: დღეს მოვა აქ რკინის გზით ოსმალოს ჯარი. რუსის კამენდანტები და რეჟიფ-ფაშა მიეგებებიან ამ ჯარს; დღეს ოსმალოს ჯარი ქალაქს გარეთ გაათევს ღამეს რუსის კარვებში, ხვალ კი ქალაქში შემოვლენ.

**პეტერბურღი, 26 თებერვალს.** ამბობენ, ვითომც პეტერბურღის გრადონაჩალნიკი ღენ. ზუროვი დროებით სტოვებს თავის თანამდებობას; იმას მინდობილი აქვს საქმის გამოძიება ხარკოვის ღუბერნატორის თ. კრაპოტკინის მოკვლის თაობაზედ.

**ტაშკენტი, 25 თებერვალს.** მაზარი-შერიფში სრული მშვიდობიანობაა; იაკუბ-ხანი ავიდა ემირის ტახტზე.

**ლონდონი, 25 თებერვალს.** ხმა არის, რომ აქაური რუსის ელჩი გრაფი შუვალოვი პეტერბურღში მიდისო; გზაზე არსად არ გაჩერდებაო.

**პეტერბურღი, 27 თებერვალს.** 20 მარტს რუსის იმპერატორის სახლობა ყირიმში მიდის. ლივადიაში დარჩებიან ერთის თვის განმავალობაში. ამბობენ, რომ აქ ორს ადგილას აღმოუჩენიათ საიდუმლო ტიპოგრაფიები. ელაგინის კუნძულზე ორ აფიცერს შუა იყო დუელი; ერთი ამათგანი ლოყაში დაიჭრა.

## საქართველო

### ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა

საპოლიტიკო ასპარეზზე ცა თან-და-თან იღრუბლება. არ შეიძლება, რომ იმ ღრუბლებმა ერთხელ კიდევ არ დაგვასველოს..

ლორდმა ბიკონსფილდმა მიიღო ისევ მოცინარი სახე და მოკამათე სახელმწიფოებს ეუბნება: კარგია, გეყოფა ამდენი შფოთი და დავი-დარაბა, მოდი, შევრიგდეთ, დავკმაყოფილდეთ იმით, რაც დღეს თითოეულს ხელში გვიჭირავსო!..

ამ უკანასკნელს დროს იმან დიდი სასიამოვნო საქმე მოახდინა რუსეთის გულის მოსაგებათ: კონსტანტინოპოლიდან ოსმალეთის ერთგული მეგობარი ინგლისის ელჩი ლეიარდი წაიყვანა დ-ელჩი ლორდი ლოფტუსი—დიდი რუსეთის მოწინააღმდეგე პეტერბურღიდან დაიბარა; იმის მაგიერათ გლადსტონისა და რუსეთის მოკერძე პარტიის კაცი ლორდი დიფერინი პეტერბურღს გაგზავნა.

ამის შემდეგ ლორდი ბიკონსფილდიც ალერსით ექცევა რუსეთს და თან ეუბნება: აი, რამდენათ ძვირფასია ჩვენთვის თქვენთან ისევე კარგი განწყობილების აღდგენა; ის ელჩები გადავაყენე, რომელნიც თქვენ არ მოგწონდათო!

სწორეთ რაღაც ზურგის ძარღვები უნდა სტკიოდეს ინგლისის სახელმწიფო წარმომადგენელს, რომ ასე უცებ შეიცვალა ზნე; ან და სწორეთ უნდა საბოლოოვოთ შეირჩინოს ავღანის მთის გასავლეში, ალიმუსიდისა და ბოლანის მთის კარებში მაგრათ უნდა სწორედ ფეხი ჩადგას და ამიტომაც სწევს ამდენს ოინებს თავის მოსისხლე მტერთან. მაგრამ ვინ არ მიუხვდება ამ ნაირს თვალთმაქცობას, ნამეტნავ ჩვენი დიპლომატები. ეს ძალიან კარგათ იცის ლორდმა ბიკონსფილდმა და მარტო ამ თათბირობითაც არ დაკმაყოფილდება. იმას უნდა მხოლოდ რამდენიმე წელიწადი მაინც შეაჩეროს მორიგებით თავისი მოკამათე საშუალო აზიაში იმ დრომდის მაინც, სანამ დიდის, ხანგრძლივის ომიანობისთვის შინ ჯარს გამოაწყობდეს.

დღეს ცხადათ გამოჩნდა, რომ 1877 წელს რომ ასე ბაქა-ბუქობდა რუსეთის წინააღმდეგ, სან-სტეფანოდან და ბერლინიდან არ დაიძრე, ფეხი არ წამოადგმევინო შენს ჯარებს, თორემ მაშინვე ორმოც-და-ათი ათას კაცს ინგლისის ჯარს კონსტანტინოპოლში შევიყვანო და მერე მთელს ინდოეთის ჯარსაც ზედ დავახვევო, გამოჩნდა, რომ იმ დროს ხმელთა-შუა ზღვაში შვიდი ათასი ინდოელის მეტი არ ჰყოლიათ ჯარათ და კონსტანტინოპოლის მახლობლათ მხოლოდ სამი ჩაჩქან-მოსილი გემი მიაყენა, მეტი ვერა.

მართლაც, მაშინ ამ ბაქი-ბუქიაობამ ძალიან გასჭრა: რუსეთის ჯარი შეჩერდა, კონსტანტინოპოლს ველარ მიადგა და მხოლოდ სან-სტეფანოს შეკრა წინდა-წინი ხელ-შეკრულობა თითქოს იმ განზრახვით, რომ მომეტებული ნაწილი ამ ხელ-შეკრულობის მუხლებისა ბერლინის კონგრესზე კიდევ იმავე ინგლისის მინისტრის ლორდის ბაკონსფილდის თაოსნობით დარღვეულიყო. ნუ თუ მართლა მარტო ამ ცარიელმა ინგლისის ბაქი-ბუქმა შეაყენა ძლევა-მოსილი სამასი ათასი რუსის ჯარი კონსტანტინოპოლის გარემო? არა, არც სულ მარტო ბაქი-ბუქობა იყო ამ ინგლისის წინააღმდეგობაში; ინგლისს ზურგს უკან უდგა მთელი ევროპა და ევროპას კი მაშინ წინამძღვრობდა წყეული თ. ბისმარკი, რომელიც იმ დროს რუსეთის უერთგულეს მეგობრათ ითვლებოდა. ბერლინის კონგრესში პირველად გამოჩნდა, რომ ამ კაცს ნათელი პირის სახე რუსეთის ელჩებისკენ ჰქონდა მოპყრობილი და ხელები კი ზურგს უკან ბიკონსფილდის კალთაში ჰქონდა ჩაფრენილი და აქეზებდა რუსეთის წინააღმდეგობაზე. ამ კონგრესის შემდეგ ცხადათ დამტკიცდა, რომ ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებს პირი შეეკრათ ერთმანეთში, რაც რუსეთმა მოიმკო და შეიძინა აღმოსავლეთის ომში, ის გერმანიას, ავსტრიას და ინგლისს თავიანთ ხელლებში უნდა ჩაეყარა. სულ ეს პლანები დღეს გამოჩნდა მარტო თვალსაჩინათ.

რა მოიგო დღეს რუსეთმა აღმოსავ-

ლეთის ომში? მართო სახელი, სახრავი კი მთლად ევროპას დარჩა და იმათში ყველაზე მოგებული ჯერ-ჯერობით ინგლისი შეიქნა. ინგლისმა შეიძინა კვიპრის კუნძული და თითქმის სრულებით გაბატონდა ხმელთა-შუა ზღვაში, შეიქნა მთელი აზიის მფარველი სახელმწიფო, ოსმალეთის შემოსავლის მონაწილე, ჩაიგდო ჯიბეში მარმარილოს და შავის ზღვის შესავალი კარების გასაღები, დაიჭირა ინდოეთის ჩრდილოეთის კ რძოთ მო ამზღვრე ჰინდუკუშის მთა და იმის გასავალი კარები. ამის შემდეგ საყოველთაოთ გამოაცხადა: მადლობა ღმერთს, ინდოეთის ჩრდილოეთის საზღვრები ისე გავამაგრეთო, რომ ამ მხრით ჩვენ მტერი ვერას გვიზამსო და აწ გვინდა მცირე აზიის ხალხი აღვადგინოთო და ჩვენც ყოველ შემთხვევისათვის სამხედროთ კარგათ გამოვეწყოთო.

მართლაც, ინგლისი იარაღდება, დღე-და-ღამ მხოლოდ სამხედრო მასალის მზადებაშია და ამუშავებს ნიადაგ ამის გულისთვის თავის ქარხანებს; ის ჰკრებს ახალ ჯარებს, აშენებს ახალ ჩაჩქანმოსილს გემებს, აკეთებს ახალ გამოგონილს საშიშარს ნალმებს.

ამავე დროს გერმანია და ავსტრია ერთმანეთში კავშირს კვრენ და პაწაწა რუმინიის ქვეყანა, რომელიც წარსულს ომში რუსეთის მოკავშირე იყო, დღეს იმის მოწინააღმდეგე შეიქნა. ამ სახით რუსეთსა და ბოლგარიას შუა ჩაყენებულია რუმინია, რომელსაც ავსტრია და გერმანია დღეს ზურგს უმაგრებს. ევროპამ განიზრახა ახალ განთავისუფლებული სლოვენის ქვეყნები რუსეთთან სრულებით განაკერძოვოს და იმათზე პოლიტიკური გავლენა მაგრათ ხელში დაიჭიროს.

ნუ თუ რუსეთის სახელმწიფო მოითმენს ამდენს შეურაცხყოფას? ძნელია ამდენი უწესოების მოთმენა. რუსეთის სახელმწიფოც დიდს მზადებაშია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისე ადვილათ არ შეიძლება რუსეთის დაჩაგვრა და მოტყუება, როგორც ევროპას ჰგონია. ბალკანის კუნძულზე ისევ ტყდება არეულობა. ღენ. ჩერნიაევი, ეს სლავიანების ნაციონალური გმირი, ხელგულ დაკრეფილი არ გაჩერდება, თუ რუმელიაში ისევ არეულობა ატყდა რუსეთის ჯარების გამოსვლის დროს და ოსმალეთის ჯარების რუმელიაში შესვლის გამო.

ახალი ავღანის ემირი იაკუბ-ხანი, როგორც ყოველფრითა სჩანს, რუსეთის მთავრობასთან აპირებს კარგ განწყობილების დაჭერას. ეს ამტკიცებს, რომ ის ისე ადვილათ არ დათანხმდება ინგლისის პირობებზე, როგორც ლორდ ბიკონსფილდს ჰგონია.

ასეთია ამ ჟამათ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. ჯერ კიდევ არავინ არის დარწმუნებული — თუ ამისთანა აბრეზილი მდგომარეობა მშვიდობიანათ ჩაივლის. არავინ იცის, სად უმალი გავარდება: თოფი, ბალკანის გადაღმა, თუ ჰინდუკუშის მთის გასავლებში..

ამტყდარი ახალი უთანხმოება მეორე კონგრესით უნდა გათავდეს.. მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ვერც ეს მომავალი კონგრესი დააბოლოვებს აღმოსავლეთის კითხვას.

გ. წერეთელი

---

## ტფილისის ქალაქის რჩევა

სხდომა 26 თებერვალს.

გასულ ორშაბათს, 26 თებერვალს, ქალაქის რჩევამ ყველაზე უმალ მოისმინა წინადადება ორი სხდომის პროტოკოლი რომელთაგან ერთში მოხსენებული იყო, რომ ჯერ-ჯერობით, სანამ ქალაქის გამგეობა ახალ სასაფლაოო ადგილს დაათვალიერებს (მახათის გორის ძირში) მანამ ძველი სასაფლაოები ნუ იქნება მოსპობილიო.

შემდეგ უფ. ხმოვანმა სტატკოვსკიმ წაიკითხა თავის მოხსენება იმაზედ—თუ რა საშუალებით შეიძლება ქალაქის ცხოვრების გაუმჯობესობა და რა ღონისძიება უნდა იხმაროს რჩევამ, რომ ქალაქის ხაზინას შემოსავალი მოემატოს. ამ მიზნის მისაღწევნელად უფ. სტატკოვსკი ურჩევდა შვიდი სხვა-და-სხვა კომისიის დანიშნვას.

რჩევამ გადაწყვიტა, რომ უფ სტატკოვსკის მოხსენება გარდაეცეს გამგეობას, რომელმანც განიხილოს ის და შემდეგ თავის აზრით წარუდგინოს ისევ რჩევას.

რჩევამ გადაწყვიტა, რომ ახალი კონტრაქტით შეეკრას ექვსი წლის ვადით და წელიწადში 3,500 მანეთად უფ. ალაბაბოვს, რომელსაც ეკუთვნის ის სახლი, რომელშიაც ამჟამად იმყოფება ქალაქის სამმართველო.

ვორონცოვის დროიდამ ქალაქი წელიწადში 6,000 მანეთს აძლევდა თეატრის (იმდროს ეს ფულები ქართულ-სომხურ თეატრისთვის იყო, შემდეგ ოპერისათვის მიდიოდა). დიდი თეატრის დაწვის შემდეგ ქალაქმა მოსპო ამ სუბსიდიის ძლევა. მაგრამ შარშან და შარშანწინ მთავარ-სამმართველოს დეპარტამენტმა აქციზის ფულებში გამოურიცხა ეს ფული 12,000 მან. და ამას გარდა 2060 მან. რომელსაც ადრე ქალაქი საზოგადო ბიბლიოთეკასა და მუზეუმს აძლევდა.

რჩევამ გადაწყვიტა, რომ რადგან ეს 14,060 მან. უკანონოთ დაუჭერია დეპარტამენტს, ამიტომ ეს თხოვნა შევიტანოთ უმაღლესს მთავრობასთან, რომ ეს ფული დაგვიბრუნონო.

ამას გარდა სხდომის დიწყებისათანავე ხანგრძლივი ლაპარაკი ჩამოვარდა უფ. ხმოვანის ნიკოლაძის წინადადებაზედ, რომელიც თხოულობდა პროტოკოლში მოხსენებული ყოფილიყო, რომ როდესაც 15 თებერვლის სხდომაზე უფ. ზარაფოვის წინადადებას (ქალაქის თავმა და გამგეობის წევრებმა სხვაგან სადმე ჯამაგირიანი თანამდებობა არ მიიღონო) უყარეს კენჭი, მაშინ ამ კენჭის-ყრაზე თავმა და გამგეობის წევრებმაც მიიღეს მონაწილეობაო. მაგრამ რადგან ამ საგანზე შემდეგ სხდომაზედაც იქნება ბაასი, ამიტომ აქ მეტს არას ვანბობთ.

## დღიური

*** ქვემო-იმერეთიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთ იქაურს სოფლებში, განსაკუთრებით დიდს და პატარა ჯიხაიხში, ერთობ გახშირებულა ქურდობა. ხალხი როგორც კორრესპონდენტი გვწერს, ამ ქურდობას აბრალებს შინ დაბრუნებულ მილიციონერებს, რომელნიც საქმის გაკეთებას, მუშაობას აღარ ჰკადრულობენო და ამისთანა ბოროტ საქმეებს კი არ ჰთაკილობენო...

*** გასულ კვირას, 25 თებერვალს, აკურთხეს ჩვენს ქალაქში ურიების შკოლა (თავშესაფარი), რომელიც დაარსებულია საკუთრივ ღარიბი ურიებისა და ობლებისათვის. შკოლაში ათი პანსიონერი გაიზარდება ტფილისის ურიების საზოგადოების ხარჯით და იქნება ორი კლასი მომსვლელ შაგირდებისათვის.

ამ შკოლის კურთხევის დროს სხვათა შორის დაესწრნენ უფ. ტფილისის გუბერნატორი, კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველი უფ. იანოვსკი და სხვა ბევრი გარეშე საპატიო პირები.

სწავლა შკოლაში ამ 1 მარტიდამ დაიწყება.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ქუთაისის ქართულ სცენის მოყვარეთა გაუმართავთ ამ თებერვლის 7-ს ერთი წარმოდგენა იქაური „ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების“ სასარგებლოდ. ამ წარმოდგენიდამ შემოსულა სულ 216 მანეთი, რომელიც სპექტაკლის გამგებელთ ხსენებულს საზოგადოებისათვის გარდაუციათ.

*** ბათუმში 29 ოკტომბრიდამ 1 იანვრამდე 1879 წლისა შემოტანილია საქონელი: უცხო ქვეყნებიდამ 7,200 მანეთის და 50 კაპ. რუსეთიდამ 219, 581 მ. 90კ., სულ 227, 782 მანეთისა და 40 კაპეიკისა.

*** ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ქუთაისიდამ შემდეგი შენიშვნა, რომელზედაც იქაური სცენის მოყვარეთა ყურადღებას მივაქცევთ:

„როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ გვყავს ქართული სცენის მოყვარე პირნი, რომელნიც აძლევენ აქ სპეკტაკლებს. შემოსავალი ამ სპეკტაკლებიდამ მიდის, როგორც სჩანს აფიშებიდამ ხანდისხან სასარგებლოდ სცენისა და ხანდისხან ღარიბ მოსწავლეთა და სხვ. და სხვ. კეთილი დანიშნულებისათვის,

„წარმოდგენის დღეს რომ შეიხედოთ ზალაში, იტყვით: უკანასკნელი ოცი-ოცდა ხუთი თუმანი მაინც დარჩება, თითო მანეთადაც რომ იყოს ერთი მეორეზედ ყველა ბილეთები, რაც მაყურებლებს აქვსო ნაყიდი, და თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ მუდამ პირველი რიგი სკამებისა 3 მანეთია, მეორე 2 მანეთი და სხვ. მაშინ უფრო დარწმუნდებით, რომ ოცდა ხუთ თუმანზედ ნაკლები არ უნდა იყოს შემოსავალი.

„მაგრამ ჰკითხეთ ამის თაობაზედ

ვინმე წარმომდგენლებს წარმოდგენის შემდეგ და პასუხს მიიღებთ შემდგომს: „ყველა ხარჯს გარდა ნაღდი დარჩა სცენას, ან ვისდა სააარგებლოდ არის დანიშნული სპექტაკლი, ექვსი, შვიდი ან სულ დიდი რვა თუმანი; დანარჩენი თუ ბილეთებით დარჩა გაუყიდავი, თუ ხარჯი; წმინდა შემოსავალი კი ეს არისო.“

სპექტაკლის დაწყების დროს ბევრი კიდეც თხოულობს ბილეთებს, ბევრი სკამის ჩადგმასაც კი თხოულობს, და რამდენი ამისთანა მაგალითები და ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ ჩვენი სცენის მოყვარე პირნი ვერ ჰხედვენ უწესოებას თავიანთ წრეში, როდესაც შეძლება ადვილათ ამ გვარი უწესოების მოსპობა. რიგიანი გამგებელი ამ საქმისთვის მათ შორის უთუოდ ამოირჩევა, რომელსაც ექნება მხედველობა ამ საქმეზედ ბილეთების გამყიდველი უნდა იყოს ერთი და არა ოცი, რომელთაც აქამდისინ დაურიგებდნენ ხოლმე ბილეთებს გასასყიდათ და ვინ იცის-გაყიდდა თუ არა, წარმოდგენის მეორე დღეს კი უკანვე დააბრუნებს: ვერ გამიყიდია, ან და ამა-და-ამ პირებმა წაიღეს ამდენი ბილეთები და ფულებს კი შემდგომ მოგართმევთო. რა საკვირველია ეს ფულები ხშირად იკარგება; ნისიები არ უნდა იყოს. გამგებელიც განსაკუთრებული უნდა იყოს, რომელსაც უნდა ჰქონდეს დახარჯვის ნება წრის ფულებისა და წარმოდგენის შემდეგ წარმოადგინოს თქვენი გაზეთით დაწვრილებითი ანგარიში და არა ერთი კვირის შემდეგ შემდგომ წარმოდგენისა. მაშინ ჩვენ გვეცოდინება როგორი შემწეობა იყო ჩვენგან სასარგებლოდ მისდა ვისთვისაც იყო დანიშნული წარმოდგენა.

„თვით ამ წრის წევრებიც გრძნობენ ამ უწესოებას და არ ჰსცდილობენ რაიმე ღონის-ძიება იხმარონ ეგრეთი უწესოების მოსასპობათ.“

## „დროების“ კორრესპონდენცია

**კახეთიდამ**, 30 იანვარს. (დასასრული) რა არის მიზეზი მასწავლებლის გულ-აცრუვებისა გადასვლა-გადმოსვლისა და რითი შეიძლება ეს მოისპოს, იმისი გული ერთ ალაგას დამყარდეს და ამითი საქმე გაუმჯობესდეს?

პირველი და უმთავრესი მიზეზი ამისა, რაღა-თქმა უნდა, არის ჯამაგირის სიცოტავე. კაცი მოშორებია თავის ოჯახს და მშობლებს მისთვის, რომ თუ იმათ ცოტათი არ დაეხმარება, შეეწევა, არ გამოადგება რასმეში ოჯახს, თავის თავს მაინც არის აკმაროს, რასაც შოულობს თავისი შრომით; ოჯახს იმითი მაინც მისცეს შეღავათი, რომ თავის ლუკმა თითონ მოიპოვოს, ერთი სიტყვით, თავისთვის მაინც იყვეს! მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ჩვენი მასწავლებელი, ნამეტურ ცოლ-შვილიანი, თავისი მცირე ჯამაგირით ამას ვერ ახერხებს. ის ცოტას, თუ ბევრს ისევ ოჯახს აკლებს, ისევ იმას სთხოვს შემწეობას, ისევ ისე მაგირდლურათ თხოულობს ოჯახიდამ ფულებსა. გადის ერთი წელიწადი, ორი წელიწადი. მასწავლებელი შრომობს, ითმენს ყოველივეს და ბოლოს თავ-მობეზრებული უგემო ცხოვრებითა ანებებს თავს ამ ხელობას და გადის სხვაგან. თუ პირველად დაკმაყოფილებულიყო ამ მცირე ჯამაგირითა, ეს მისთვის, რომ შემდეგისთვის მოელოდა გადიდებას; ჰფიქრობდა: დღეს ეს იყვეს, ვნახო, ვიშრომებ, საზოგადოების გულს მოვისყიდი, თავს შევაყვარებ სინიდისიანი შრომითა, უფროსი ჩემს შრომას დააფასებს და ხვალ იქნება მეტი მექნესო. მაგრამ ამ გვარი ოცნებები იშვიათად განხორციელებულა ხოლმე უქონელობისა გამო საშუალებისა: უამისოთაც ხარჯით დასაპალნებულ გლეხებისთვის ველარ გაუბედნიათ უკვე შეწერილი და დაწესებული ფულის მომატება და შკოლა რჩება ისევ იმ ღარიბულ მდგომარეობაში!

მეორე მიზეზათ, მგონი, ისიც ჩაითვლება, რომ ზოგი მასწავლებელი მსახურებს მოშორებით თავის მხარეზედ. რა თქმა უნდა, რომ უმჯობესია და სანატრელი კაცისათვის, რომ ის იყვეს დაახლოებით თავისიანებზედ, შეეძლოს იმათი ამბის გაგება, მისვლა-მოსვლა თავ-თავის დროზედ, გაჭირვებისა და ლხინების დროს. მაგალითად, უმჯობესი არ არის და უფრო ხალისიანად და ერთგულად არ იქნება საქმეზედ ქართლელი კაცი ქართლშივე შოულობდეს თავის ლუკმას, კახელი—კახეთში და სხვა? ან კიდე იმერელს ქართლში არ ურჩევნიან იმყოფებოდეს, ქართლში, რომელიც რკინის გზის წყალობით „ერთი ქვის გასროლაზეა“, სანამ კახეთში? ჩვენ კი რას ვხედავთ? ბლომათ არიან იმერელი ყმაწვილი კაცები, მასწავლებლები კახეთის შკოლებში რომ მასწავლებლობენ, ან კიდე ქართლელი—კახეთშივე და ისე კი ძალიან იშვიათად, რომ დაახლოებით იყვეს თავის მხარეზედ. ეს, რასაკვირველია, მასწავლებლის სურვილით არ არის: იმას ძალიან უნდა გაგზავნონ თავის მხრის მახლობლათ, მზათ არი, თუნდა უფრო მცირე ჯამაგირისთვისაც, გადავიდეს, მაგრამ ვერ ახერხებს. ვერ ახერხებს პირველში და ფიქრობს კია, იმედი აქვს, რომ მომავლისათვის, როცა ადგილი დაიცლება, ან ახალი აღმოჩნდება, გადავიდეს. თუ ვერ გადავა—აუცილებელია, რომ სულ თავი არ დაანებოს ამ სამსახურს. გარემოებანი აიძულებენ ამას, ნება-უნებურად ემართებათ ესა!

ამის მაგალითები ჩვენ რამოდენიმე ვნახეთ ამ წელიწადში: მარზაანის (სიღნაღის უეზდის), შკოლის მასწავლებელი, თუ არ ვსცდები, მისთვის გადავიდა იმერეთში, რომ იქაური იყო და იქ ერჩია; კარდენახის შკოლის მასწავლებელმა მისთვის დაანება თავი ამ შკოლას, რომ არ ჯერდებოდა ჯამაგირს; ქვემო-მაჩხაანისმასწავლებელი მისთვის წავიდა სხვაგან, რომ ცოტას აძლევდნენ ჯამაგირს; ალვანისამ—(თიანეთის უეზდისა) მისთვის, რომ თავისიანებს დაუახლოვდა და სხვა!

იქნება კიდეც იწყინონ ამათ ეს სიტყვები და გამამტყუნონ მე, მაგრამ რაც უნდა სთქვან, მე მაინც ზედმიწევნით ვიცი, რომ ეს იყო ნამდვილი მიზეზები იმათი გადასვლა-გადმოსვლისა.

და ასე, ჯამაგირის სიცოტავე და უფრო ადგილის სიშორე ჩნდებიან მიზეზებათ მასწავლებლების გამოცვლისა.

ამისათვის, ჩემის აზრით, ძალიან სასარგებლო იქნებოდა და გონივრული განკარგულება, რომ უ. დირექტორი სახალხო შკოლებისა მასწავლებლის ამორჩევისა და დანიშვნის დროს ამასაც აქცევდეს ყურადღებას, ე. ი. მოხერხებისადა-გვარად მასწავლებელს აძლევდეს ალაგს იქ, საცა იმას სურს, ან საცა იმისთვის უფრო მოხერხებული, სასარგებლო იყვეს. ამას ახერხებდეს დანიშვნისავე დროს მასწავლებლისა და არა შემდეგისთვის, რის გამოც, როგორც ვსთქვით, სხვა-და-სხვა მასწავლებელი ებადება შკოლას. და მაშინ, ამგვარად საქმის დაჭერის შემდეგ, დავინახავთ, რომ შკოლას რამოდენიმე წელიწადს მაინც შერჩება ერთი მასწავლებელი.

პირბილაძე-ბედკრულაძე

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

ინგლისის და ოსმალეთის მმართებლობამ პირობა შეკრეს მონობის მოსპობაზე. ამ პირობის ძალით ინგლისის და ოსმალეთის ხომალდებს უფლება აქვ'სთ დაიჭირონ ზღვაში და ოსმალეთის ნავთ-სადგურებში ისეთი ნავები, რომელთაც მოჰყავთ მონები გასასყიდლათ.

— სტამბოლიდამ იწერებიან: რეუფფაშა და გენერალ ტოტლებენი დათანხმებულან, რომ გენერალი სკობელევი დარჩეს რამდენიმე ხანი მცირე რუსის ჯარით ადრიანოპოლში, რათა უშველოს ოსმალოს მართებლობას წესიერების და მშვიდობიანობის დაცვაში.

— „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია ადრიანოპოლიდამ მიღებული ამბავი, რომ ოსმალეთი თხოულობს საბერძნეთისაგან 150 მილიონს ფრანკს (60 მილიონ მანეთამდე) თესსალიისა და ეპირის დათმობისათვის.

## საფრანგეთი

პრეზიდენტმა გრევიმ პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ თუ ნაციონალურმა კრებამ გადაწყვიტა ბროჰლისა და ფურტუს სამინისტროის სამართალში მიცემა, მაშინ ის (გრევი) იძულებული იქნება მიატოვოს პრეზიდენტობა. ამავე საგნის შესახებ გაზეთი „ფიგარო“ ამბობს, რომ მარშალ მაკ-მაჰონმა გამოაცხადაო, თუ მოხსენებულ სამინისტროს სამართალში მისცემენო, მაშინ ისიც უნდა ჩაირიცხოს დანაშაულად. ამ გარემოებამ, ამბობს გაზეთი, ჩააფიქრა ამ საქმეზე დანიშნული კომისიის წევრებიო. მაგრამ ამ დღეებში დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ ამ მუქარას არ

შეუშინებია არც ნაციონალური პრება და არც კომისიის წევრები, რომელთაც უკვე გადაწყვიტეს ბროჰლის და ფურტუს სამინისტროის პასუხის-გებაში მიცემა.

— ნაიმპერატორალი ნაპოლიონ მე-III-ის შვილი ჰყვება ინგლისის ჯარს აფრიკაში ზულუქებთან საომრად. ამ ომში უნდა ისწავლოს ბრწყინვალე პრინცმა ომის ხელობა და მომავალში გამოიყენოს საფრანგეთის სასარგებლოთ. ნიზაში პრინცი ჩამოხტება წმიდა ელეპას კუნძულზე, სადაც მისმა წინაზრმა ნაპოლიონ პირველმა ტყვეობაში დალია სული.

# განცხადებანი

## ხეხილების გაყიდვა

ვუნიბის მეიდნის ბაღავანში, ცირკის ახლოს, ამ თებერვლიდამ ისყიდება სხვა-და სხვა გვარი ხეხილები იოსებ იაკობის ძის ილიაშევიჩის უარაიაზის მამულიდან მოტანილი. ამ ხეხილების სიდიდე არის არშინ-ნახევრიდამ ერთ საჟენამდინ. თითო ისყიდება ორ აბაზათ. ეს ხეხილები დაყნულია სხვა-და-სხვა საუკეთესო ევროპიულ და აზიურ ხეებიდამ.

(7—1)

ტფილისის მოქალაქემ მიხეილ შაუღოვმა შეიტანა ტფილისის მთავარ-პოლიცმეისტერთან განცხადება, რომ მან ამ სამი თვის წინათ დაჰკარგა 500 მანეთის ბანკის ბილეთი № 834 და სთხოვს უფ. პოლიცმეისტერს, რათა მოახდინოს განკარგულება ამ ბილეთის მოძებნისა.

(3—1)

მზრუნველი რჩევა ტფილისის მიხაილოვის ტეხნიკური და რკინის გზის სასწავლებელისა მიიღებს რა მხედველობაში, რომ ბევრი არიან მსურველები ამ სასწავლებელში შესვლისა და ამის გამო საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს, რომ წელს ამ სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 16-ს და გაგრძელდება ვიდრე 1 ენკენისთვემდინ.

ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, თხოვნა და ჯეროვანი დოკუმენტები აგვისტოს 1 რიცხვიდამ უნდა წარუდგინოს სასწავლებლის ზედამხედველს.

სასწავლებელში შესვლისათვის შემდეგი პირობებია საჭირო: 1) თერთმეტ წელიწადზე ნაკლებისა და ჩვიდმეტზე მომეტებულის არ უნდა იყვეს, 2) უნდა იყოს რუსის ქვეშევრდომი და 3) ისეთი რამ სხეულის ნაკლულევანება არ უნდა ჰქონდეს, რომ რკინის გზაზე სამსახური დაუშალოს.

პირველს (მოსამზადებელს) კლასში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს: ს ა მ ღ ვ თ ო წ ე რ ი ლ ი დ ა მ — უმთავრესი ლოცვები; რ უ ს უ ლ ი ე ნ ი დ ა მ — თავისუფლად კითხვა, წაკითხულის თქმა, თავის სიტყვით წერა სხვისი თქმით (დიდი შეცდომებით არ უნდა სწეროს) და უბრალო წინადადების ახსნა (როგორც სამოქალაქო შკოლებში მეორე წელს იციან); ა რ ი თ მ ე ტ ი კ ი დ ა მ — უნდა იცოდეს უფრო ციფრები, პირველი ოთხი მოქმედება.

ამ სასწავლებელში შაგირდებს შეუძლიანთ პურის-ჭამა: თვეში 4 მანეთად და 50 კაპ. შაგირდს მიეცემა მუდამ დღე სადილი და საუზმე.

(3—1)

# „ჭაერ ოსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება
მ. ჯორჯაძისა

გამოვიდა და ისყიდება

# „ბუტიაობა“

ვოდევილი
აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაქერდოვის გაზეთის საგენტოში—ბულვარზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი — უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

ტფილისში უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში ისყიდება:

# ალმანახი

შედგენილი
გ. თუმანიშვილისაგან
წიგნი მეორე
გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან
ფასი—ორი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება ა. ცუცაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, მული და მაზლიკები“—ტ ფ ი ლ ი ს შ ი: გრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: გიორგი ბარათოვთან, გ ო რ შ ი: ზაქარია ღონდაროვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ შ ი: თ. ვანო მაჩაბლოვთან, ს ა ჩ ხ ე რ ე ს: თ. ნიკო დიასამიძესთან, ო ზ უ რ გ ე თ ს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქ უ თ ა ი ს ს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, ს ა მ ტ რ ე დ ი ა ს: იორდანე სიხარულიძესთან, ფ ო თ შ ი, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე ცუცაევის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 51 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა. . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| ტფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . . | 3 | 75 |

## ფოჩტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსხეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 28 თებერვ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 40 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაჰენტილი ბ მბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 40 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 50 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 55 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 50 |
| — ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | „ |
| თამბაქო, ხაშური ფთ. | 6 | 70 |

## ტფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარ ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საზებიო და ბავშვის. ვეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—ხაზებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და ვეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 28 Февраля 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.